საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება თანამედროვე გლობალურ სამყაროში და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები

ნოდარ ცანავა
სტუ-ს ასოც. პროფესორი

საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ხალხებისა და ქვეყნების დაახლოების ტენდენცია, რომელიც წარმოადგენს გლობალიზაციის საერთაშორისო პროცესის საფუძველს. კერძოდ, ეს არის ურთიერთქმედება და თანამშრომლობა ეკონომიკაში, კულტურასა და სხვა სფეროებში. ამ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს ცოდნა და განათლება, წინსვლა ცოდნის საშუალებით. ამავდროულად ხალხებმა და სახელმწიფოებმა უნდა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყარო გადაიქცევა ერთი მენტალიტეტის მქონე ადმიანებით დასახლებულ დიდ სოფლად. ყოველივე ეროვნულისადმი ფაქიზი დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რაიმე კარჩაკეტილობას ან შეზღუდულობას. პირიქით, რაც უფრო ძლიერია ხალხის ეროვნული ფესვები, მით უფრო მაღალია მისი ინტერნაციონალური პოტენციალი. ეს არის საერთაშორისო კავშირები, თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტები, პარტნიორობა, ურთიერთდახმარება.

დღეს საქართველოს როგორც არასდროს სჭირდება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ტერიტორიების დეოკუპაციისათვის და უსაფრთხოებისათვის. ამიტომ საქართველომ კიდევ უფრო მჭიდროდ და მრავალ ფორმატში უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგრამ არ უნდა იყოს ამავდროულად დავიწყებული ძალის კატეგორიით გამოხატული ეროვნული ინტერესების კონცეფციაც.

ამ მხრივ ხაზი უნდა გაესვას ასევე, შიდა უსაფრთხოების დაცვა-განვითარებას, განპირობებულს სამართალდამცავი ორგანოებისა და საჯარო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებით, რაც გარე უსაფრთხოებასთან ერთად, წარმოადგენს ქვეყნის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს.

საქართველოს ეროვნული ინტერესების პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის სივრცული მახასიათებლების კვლევა დაკავშირებული არის მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერების ახსნასთან, პოლიტიკური ცხოვრების შინაგანი ტენდენციების და კანონების გამოვლენასთან და შეცნობასთან. ყველაფერი ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოში გეოპოლიტიკური ცნობიერების გამდიდრებას და კონკრეტიზაციას, აგრეთვე სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის იმ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომინდაციების შემუშავებას, რომელებმაც უნდა უზრუნველყოს გეოპოლიტიკური პროცესების მართვის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრა, პოლიტიკური და ეთნიკური კომფლიქტების დარეგულირება, მუდმივად ცვალებად სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

აქედან გამომდინარე მეტად აქტუალურია თანამედროვე პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტების გეოპოლიტიკური ინტერესების დინამიკის ანალიზი და თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა მოწინავე სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირების ასპექტში და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების შინაარსის ახსნა.

დღეისათვის, პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონსტრუირება ხორციელდება გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. სწორედ გლობალური სივრცული რეალიების პოლიტიკური ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოებრივი (ეროვნული) ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როცა სახელმწიფოებრივი ინტერესები ემთხვევა ეროვნულ ინტერესებს. ეს დამთხვევა, თავის მხრივ დამოკიდებულია ისტორიულ პერიოდზე, პოლი-

ტიკურ და კულტურულ კონტექსტზე. გეოპოლიტიკური ინტერესების მთელი კომპლექსი განხილულ უნდა იქნეს სწორედ ამ კონტექსის დინამიკაში, რომლის ძირითად პოსტულატს თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის ცნება წარმოადგენს.

გეოპოლიტიკური რეალობის აღნიშნული ასპექტებიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ტენდენციების განსაზღვრა, გეოპოლიტიკური ორიენტაციის სწორად გარკვევა და დაცვა და მისი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოპტიმალური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში გამოყენება. უცილებელია აღინიშნოს, რომ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში დღეს იგრძნობა ამ მიმართულებით დაგროვილი თეორიული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების გარკვეული დეფიციტი, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საჭიროა დეტალურად შესწავლილი და გაანალიზებული იქნას საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები, ახსნილ იქნას საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების ცვლილებები, საქართველოს ახალი როლი ცივილიზებული მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო, როდესაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა გეოპოლიტიკურ ფაქტორთა უშუალო გავლენას არ განიცდიდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესების სფეროში საკუთარი ადგილი, შესაბამისად ფუნქციაც მოიპოვა. საერთაშორისო პროექტების რეალიზაცია (სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანი) პირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და მის საერთაშორისო იმიჯზე. ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს მდებარეობის შეფასება სატრანსპორტო კომუნიკაციების სახეობების მიხედვით უნდა მოხდეს (11). მართალია, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ შავი ზღვის ევრაზიის კონტინენტის სიღრმეში მდებარეობა (შავი ზღვა მსოფლიოში ყველაზე ჩიხურ გზად ითვლება) და, აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ მსოფლიო მნიშვნელობის საზღვაო კომუნიკაციებზე გასასვლელად სხვადასხვა ქვეყნის კონტროლის ქვეშ მყოფი რამოდენიმე სრუტისა და ზღვის გავლაა საჭირო, მაკრომდებარეობა ვერ ჩაითვლება ისევე ხელსაყრელად, როგორც დავუშვათ, სინგაპურისა. თუმცა ზღვაზე გასასვლელს მოკლებულ ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორებიცაა სომხეთი და თუნდაც აზერბაიჯანი, საქართველოს მდებარეობას აშკარა უპირატესობა აქვს. რაც შეეხება სახმელეთო კომუნიკაციებს, მათი როლი საქართველოს მდებარეობის ხელსაყრელობის განსაზღვრისას უფრო მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ კავკასიაზე, და კერძოდ, საქართველოზე ოდითგანვე გადიოდა ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო ტრასა. საბჭოთა პერიოდში საქართველოს მდებარეობამ გასაგები მიზეზების გამო დაკარგა გლობალური მნიშვნელობა. მომავალში ხელსაყრელი პოლიტიკური კლიმატისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების სრულყოფის შემთხვევაში საქართველოს მაკრომდებარეობას კარგი პერსპექტივები გააჩნია. ჩვენს ქვეყანას შეუძლია ინდუსტრიულ დასავლეთსა და სანედლეულო აღმოსავლეთს შორის, აგრეთვე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საქონლის გაცვლაში აქტიური სატრანზიტო ფუნქცია შეასრულოს. მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება, აგრეთვე, საჰაერო კომუნიკაციებსაც. საქართველოს ამ მხრივ ძალზე მიმზიდველი მდებარეობა აქვს, ერთის მხრივ, ევროპასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას შორის (დიდ ბრიტანეთსა და ინდოეთს შორის თითქმის შუა გზაზეა) და, მეორეს მხრივ, ჩრდილო ამერიკის ინდუსტრიულ ჩრდილო აღმოსავლეთსა და იაპონია-კორეა-ჩინეთის რეგიონს შორის. აღსანიშნავია, რომ საქართველო იმყოფება ამერიკა-იაპონიის ტრასის არამარტო შუა გზაზე, არამედ დაახლოებით ერთ განედზეა ნიუ-იორკსა და ტოკიოსთან ერთად, რაც აღნიშნული ტრასის სხვებთან შედარებით კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს.

რეგიონი, სადაც მდებარეობს საქართველო, პოლიტიკურად დღეს არასახარბიელოდ შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო პერიოდის საყოველთაოდ ცნობილი კონფლიქტიდან ორი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა. ეკონომიკის განვითარების მხრივ კი ეს რეგიონი განვითარებადი ქვეყნების დონეზე იმყოფება. ყველაზე განვითარებული ეკონომიკა აქვს თურქეთს და ისრაელს. დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს აზერბაიჯანს, რუსეთს, უკრაინას, უზბეკეთს, ყაზახეთს, ირანს, ერაყს. სუსტი ეკონომიკური პოტენციალი აქვს სომხეთს.

საქართველოს საზღვრების სხვადასხვა მონაკვეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ანალიზი გვაძლევს შემდეგ სურათს: ჩრდილო კავკასიონის ძნელადმისადგომი მთები, რომელთაც საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვება 750 კმ მანძილზე, არახელსაყრელია ეკონომიკური კავშირებისათვის. âრანსკავკასიური საავტომობილო გზები, რომელთა ფუნქციონირება ბუნების ჭირვეულობის გამო

შეზღუდულია, მხოლოდ სამ უღელტეხილზე (მამისონის, როკის, ჯვრის) გადის. სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა რთული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამო მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული და, ამიტომ, მოხსნილია დღის წესრიგიდან. ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე არახელსაყრელია საქართველოს საზღვრის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, რომელიც თურქეთთან გავაკავშირებს. მართალია, შავშეთისა და ერუშეთის ქედები არ არიან ჩრდილო კავკასიონის მთებივით ძნელადმისადგომი და მაღალი, მაგრამ მაინც აძნელებენ სატრანსპორტო კომუნიკაციების გაყვანას. მიუხედავად ამისა, თურქეთსა და საქართველოს შორის სატრანსპორტო კავშირები უკანასკნელ პერიოდში არსებულ სასაზღვრო გასასვლელებზე საგრძნობლად გაფართოვდა. ახლო მომავალში კი იგეგმება ორი ქვეყნის სარკინიგზო სისტემის შეერთებაც, რაც მართალია დღეს მიმზიდველია პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა მოითხოვს დამატებით შესწავლა-გაანალიზებას გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური მიზანშეწონილობის ასპექტით (ხომ არ შეამცირებს ის არსებულ ტვირთნაკადებს საქართველოს საზღვაო პორტებში). ყველაზე ხელსაყრელია დასავლეთის მხრიდან საზღვაო საზღვარი, სადაც ორი დიდი ნავსადგური მდებარეობს, და აღმოსავლეთით საზღვარი აზერბაიჯანთან, რომელიც მტკვრის ხეობასა და ივრის ზეგანზე გადის. საქართველოში ეკონომიკის განვითარება, დღეს რთულ პირობებში მიმდინარეობს. ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გადაწყდეს. უნდა დაჩქარდეს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანა და ამასთან ერთად მან ახალ გარემოში მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების უნარი უნდა შეიძინოს.

ცხადია, ყოველი ქვეყანა უნიკალურია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით. ხოლო ამ მხრივ საქართველო განსაკუთრებული მიმზიდველობით გამოირჩევა, რაც, სამწუხაროდ, არაერთი სახელმწიფოს დაპირისპირების ადგილად ქცეულა, რადგანაც კავკასიის გაკონტროლებით ნებისმიერი სახელმწიფოს მომგებიანი პოზიციის დაკავება შეუძლია, როგორც პოლიტიკურად ასევე ეკონომიკურად. ხოლო ისტორიულად კი კავკასიას აკონტროლებს ის, ვინც აკონტროლებს თბილისს (ამ თვალსაზრისით საფრთხის შემცველია თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის ფუნქციის სამომავლოდ ნებისმიერი ფორმით შესუსტება: მაგალითად საქართველოს პარლამენტის ქ. ქუთაისში გადატანით და სხვა).

თავად საქართველოსათვის გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას იძენს მისი გეოეკონომიკური მდებარეობა, როგორც სატრანსპორტო დერეფნისა კასპიის ზღვის ენერგორესურსების (და არა მარტო ენერგორესურსების) ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირების შესაძლებლობის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა გეოეკონომიკური სტრუქტურა ბუნებრივად განსაზღვრავს მათ ეკონომიკურ პოტენციალს და სიძლიერეს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას. ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ჩავუღრმავდით აღნიშნულ თემას, რამდენადაც ქვეყნის გეოპოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი გეოეკონომიკური სტრუქტურის მახასითებლებისა და მაჩვენებლების სწორად შეფასებასა და გამოყენებაზე.

ხსენებული მიმართულებით არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მიუხედავად სატრანზიტო დერეფნის საქართველოს მონაკვეთში ტვირთზიდვის მოცულობის დინამიკის წლების მიხედვით ზრდის ტენდენციისა, დღეისათვის მთელი რიგი ნიშნის მიხედვით მაგისტრალის საერთო კონკურენტუნარიანობა ქვეითდება. კერძოდ: საავტომობილო ტრანსპორტი, ძირითადად, მხოლოდ საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებთან ორმხრივ ტვირთზიდვას უზრუნველყოფს და დერეფნის გასწვრივ სატრანზიტო გადაზიდვებში უმნიშვნელოდ მონაწილეობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში სატრანზიტო გადაზიდვებმა ზრდა დაიწყო. საქართველოს გავლით როგორც საავტომობილო ტრანსპორტით, ასევე რკინიგზით გადაზიდული ტრანზიტული ტვირთების 92%-ზე მეტი მოდის აზერბაიჯანსა და სომხეთზე, ხოლო აზიური ქვეყნების ტვირთების წილი უმნიშვნელოა და ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთსა და ირანზე გამავალ დერეფნებში უფრო მოქნილი სატარიფო პოლიტიკაა. საქართველოს ნავსადგურებში დღეისათვის საპორტო მომსახურების საგრძნობლად მაღალი ტარიფებია ზღვის კონკურენტ ნავსადგურებთან შედარებით;

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გამო მნიშვნელოვანია სატრანზიტო ტვირთნაკადის საერთო დანაკარგები, რაც მოითხოვს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას, როგორც ქვეყნის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის, ასევე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან მიმართებაში.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია სწორედ მსოფლიო მეურნეობაში მისი ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კონკურენტუნარიანი დერეფნის შექმნა, პირველ რიგში,

ხელს შეუწყობს სატრანსპორტო პრობლემების მოგვარებას, მოსახლეობის დასაქმებას, შემოსავლების ზრდას და ა.შ. მეორე მხრივ – სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების განმტკიცებას. საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ჩართვა მოითხოვს შეთანხმებულ ტექნიკურ პარამეტრებსა და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის შეხამებადი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში ეროვნული სატრანსპორტო სისტემების ინტეგრაციის საფუძველი უნდა გახდეს.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები და მაჩვენებლები

ახლა რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თემას, რომელიც მეტად მნიშნელოვანია გეოპოლიტიკური ანალიზის პრობლემების ჭრილში.

ეკონომიკური უსაფრთხოება, საყოველთაო გაგებით ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ბაზისად გვევლინება, რომელიც წარმოდგენილია უსაფრთხოების მრავალმხრივი მიმართულებებით (სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო, ეკოლოგიური,ტექნოლოგიური, ინფორმაციული, დემოგრაფიული უსაფრთხოება და სხვა) (25). დღეისათვის ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის შესახებ ერთიანი მიდგომა არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა ცალკეული მკვლევრების აზრით, აუცილებელია ზღვრული მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელიც ქვეყნისათვის სტარატეგიული საქმიანობის ორიენტირს წარმოადგენს. საყოველთაო აღიარებით, ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებებად უნდა მივიჩნიოთ (20): მშპ მოცულობა, რომლის ფარგლებს იქით შეუძლებელია ეკონომიკის გაფართოებული აღწარმოება; მრეწველობის, მეცნიერტევადი და მარალტექნოლოგიური გადამამუშავებელი დარგების ხვედრითი წილი და ზრდის ტემპები; იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში; მოსახლეობის ცხოვრების დონე (სიღარიბის ზღვარი); ბუნებრივ-ეკოლოგიური პოტენციალის აღწარმოების მაჩვენებლები; სახელმწიფო მატერიალური და ფინანსური რეზერვები; საგარეო ვალი მშპ-ის მიმართ (%), დანახარჯები მეცნიერებაზე მშპ-ის მიმართ (%), ინვესტიციების წილი მშპ-ის მიმართ (%) და ა.შ. საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე საერთო წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთმოყვანილი ცხრილი (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები):

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები საკმაოდ საგანგაშო სურათს გვაძლევს. განსაკუთრებით ეს შეეხება ინვესტიციების წილის შემცირებას მშპ-ის მიმართ 2008-2010 წლებში, რომელმაც შეადგინა მხოლოდ 15-7%, ნაცვლად უსაფრთხოების ზღვრული სიდიდით განსაზღვრული 23%-ისა. ასევე გაიზარდა 2006 წელთან შედარებით საგარეო ვალი მშპ-ის მიმართ, ასევე მაღალია მოსახლეობის რიცხოვნობა საარსებო მინიმუმზე დაბლა, დაახლოებით 4-ჯერ აღემატება უსაფრთხოების კრიტერიუმებით განსაზღვრულ ზღვრულ სიდიდეს. 2-ჯერ აღემატება სამრეწველო წარმოების დაცემის მაჩვენებელი უსაფრთხოების დონეს და სხვა. ეს სურათი შენარჩუნებულია 2011 წლის მონაცემების მიხედვითაც. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ ზღვრულ კრიტერიუმებს, რაც მეტად საგანგაშოა და აუცილებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, რამდენადაც საქართველოს ეროვნული ინტერესების შემადგენელი ნაწილია მისი ეკონომიკური ინტერესები, რომელთაც საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად უნდა განეკუთვნოს.

აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით აქ იმიტომ შევჩერდით, რომ გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა ფაქტორებმა, როგორც წესი, ხელი უნდა შეუწყოს, როგორც ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობას, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რადგან ძირითადი საფრთხე მოსახლეობის დაბალ ცხოვრების დონესთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბი ერი ადვილი დასამორჩილებელია, როგორც დიდი ილია იტყოდა "უფულო ერი ფულიანთა საძოვარია", რომელიც თანდათანობით კარგავს თავის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და თვითმყოფადობას, რისი რეალობის წინაშე, სამწუხაროდ, დღეს უკვე ვდგავართ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენის აზრით ანგარიშგასაწევია, აგრეთვე ზოგიერთი, მოსაზრებები და წინადადებები, რომელიც აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით წარმოჩინდება. კერძოდ, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონიდან გამომდინარე, სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ამ მიმართულებით შემგომ კვლევების გაგრძელებას და კონკრეტული წინადადებების დამუშავებას. ჩვენი აზრით, ერთ-ერთ რეალურ პერსპექტივად ამ

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზღვრული სიდიდე	ფაქტობრივად						
		1994 წ.	1997 წ.	2000 წ.	2003 წ.	2006 წ.	2009 წ.	2010 წ.
მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემის დონე (%)	30	72.2	64.7	61.9	53.2	40.6	35	30
სამრეწველო წარმოების დაცემის დონე (%)	30	80.6	80.5	79.1	75.8	65.6	60	55
მოსახელეობის რაოდენობა საარსებო მინიმუს ქვემოთ (%)	10	80.5	44.2	51.8	54.5	40.3**	45	40
უმუშევრობის დონე (%)	7	-	10.3	10.3	11.5	13.6	16,9	16,3
საგარეო ვალი მშპ მიმართ (%)	25	-	-	44.6	35.5	17	20	28 50***
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	70	72.6*	-	-	71.5	73.1	72	74,4
ინვესტიციების წილი მშპ მიმართ (%)	23	-	18.5	26.1	26.7	25.6	15	7,0

* 1989 წ. მონაცემი.
** სიღარიბის გაანგარიშების ახალი მეთოდიკით.
*** საგარეო ვალი კერძო სექტორის ჩათვლით

პრობლემასთან მიმართებაში შეიძლება განვიხილოთ საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის) განკარგულებაში არსებული უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო მიწების) კაპიტალიზაციის საკითხი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამჟამად საქართველოს სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავის საკუთრებაში ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკმაო ფართობს (არანაკლებს ერთ ჰექტარის ოდენობით), შესაბამისი საცხოვრებელი ნაგებობებით (რაც ბევრი განვითარებული ქვეყნის, მათ შორის ამერიკის სინამდვილეში მოქალაქეთა კეთილდღეობის საზომი და მათი ცხოვრების მიზანს წარმოადგენს), თუმცა სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის ეს კატეგორია დღეს საქართველოში ძალზე ღარიბი და უფულოა. მიწის კაპიტალიზაციისათვის აუცილებელია, ალბათ, მიწის ბაზრის განვითარება, და სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, ჩვენის აზრით, მაგალითად, საადგილმამულო ბანკების დაარსება, რომლებიც გასცემენ შეღავათიან კრედიტებს მიწის გირაოთი და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუფასურებულ ქართულ მიწას ფულიანი უცხოელები დაეპატრონებიან (გინდაც ბანკების მეშვეობით, რაც არსებითად არ ცვლის სიტუაციას), როგორც უპატრონო ეკლესიას ეშმაკები და მერე ძალიან გვიანი იქნება მდგომარეობის გამოსწორება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სატრანზიტო ინფრასტრუქტურის ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენების, ასევე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით. გეოპოლიტიკური და გეოკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის ამაღლებისათვის, საჭიროა კონკეტულად იყოს გაცხადებული ქვეყნის სამოქმედო დოქტრინა და კონცეპციები ამ მიმართულებით, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ჩვენი

სამართლიანი მოთხოვნები შესაბამისი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც სარგებლობენ საქართველოთი, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროს შორის დამაკავშირებელი ხიდით. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს ფაქტორი შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყნის, არა მარტო უბრალოდ არსებობის, არამედ ღირსეული, ამბიციური არსებობის გარანტია (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით). ასეთ თემებთან მიმართებაში უპრიანია, მაგალითად, გავიხსენოთ ე.წ. "დიდი სომხეთის' შესახებ მეზობელი სომხეთის პრეტენზიები, ისიც, მხოლოდ მესიანისტურ ამბიციებზე დაყრდნობით, რაიმე განსაკუთრებული, გეოპოლიტიკური ან გეოეკონომიკური მიმზიდველობის გარეშე.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტები აზერბაიჯანთან და სომხეთთან მიმართებით

საქართველოსა და აზერბაიჯანს ძირითადად კურსი აღებული აქვთ დასავლეთის სახელმწიფოებისაკენ, სომხეთი კი თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას რუსეთსა და ირანს უკავშირებს. აქედან გამომდინარე, განსხვავებული შეხედულებები ყალიბდება მათი ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე. ერთის მხრივ, ეს მოიცავს სქემას „აზერბაიჯანი–საქართველო–თურქეთი", ხოლო მეორეს მხრივ „რუსეთი–სომხეთი–ირანი". თუმცა სომხეთი არ გამორიცხავს დასავლეთთან თანამშრომლობასაც. საქართველო–აზერბაიჯანის თანამშრომლობის ერთიანი სქემის საწინააღმდეგოდ სომხეთის განსხვავებული მიდგომა მნიშვნელოვნად შემაფერხებელი გარემოებაა ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, რაც საქართველოსათვის გარკვეული საფრთხის შემცველია, მით უმეტეს რომ სომხეთის სამომავლო განვითარების პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და რეალიზაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზღვარგარეთ მცხოვრები ძლიერი სომხური დიასპორის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა. დღეისათვის საქართველოსა და სომხეთს, ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებობს გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები, რომელიც იმდენად მწვავედ არ ჩანს, თუმცა სამომავლოდ შესაფერისი სიტუაციის შექმნისა და ურთიერთობების გამწვავების შემთხვევაში სერიოზული საფრთხის შემცველია. უკანასკნელი პერიოდისათვის სომხეთმა მთელი რიგი მაჩვენებლის მიხედვით გაუსწრო თავის მეზობლებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, თუ აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა მიიღწევა ქვეყნის ნავთობის სექტორის ზრდით (41%), საქართველოში ტრანზიტული მომსახურეობით (მშპ–ს 47%), ხოლო სომხეთის ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია რეალური სექტორის ეკონომიკურ ზრდასთან, რაც სომხეთისათვის ძალზე პოზიტიური, ხოლო საქართველოსათვის სამომავლოდ გარკვეული საფრთხის შემცველია. დღეისათვის ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ კონტრასტულია, ცნობილი მიზეზების გამო არავითარი ურთიერთობები არ არსებობს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, საქართველოს ერთ–ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია აზერბაიჯანი, რომლის წილი საქართველოს ექსპორტში შეადგენს 11.2% ხოლო იმპორტში 7.3%–ს. ამჟამად აზერბაიჯანის ბაზარზე წარმატებით იყიდება ქართული საექსპორტო პროდუქცია – ცემენტი და საბათქაშე მასალები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, შავი ლითონები და მისი ნაწარმი, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, საფრენი აპარატები, მინა და მინის ნაწარმი, ფარმაცევტული პროდუქცია, დეკორატიული მასალები და სხვ. აზერბაიჯანიდან კი ქართულ ბაზარზე შემოდის ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, რადიაქტიული და ორგანული ქიმიური ნაერთები, პლასტმასები და მათი ნაწარმი, ქიმიური ბოჭკოები და მათი ძაფები, შავი ლითონები და მისი ნაწარმი, სამშენებლო კონსტრუქციები, საფეიქრო ნაწარმი, მარცვლეული, ხორცისა და თევზის პროდუქტები, ხილი ბოსტნეული და სხვ. რაც შეეხება სომხეთს, მის წილად მოდის საქართველოს ექსპორტის 8.3, ხოლო იმპორტის 1,2 %. სომხეთში საქართველოდან გაიტანება: სასუქები, შავი ლითონები და მისი ნაწარმი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, სამკურნალო წამლები, მარცვლეული, ფქვილი, ბურღული, კერამიკული ნაწარმი, ხის ნახშირი და სხვ. ქართულ ბაზარზე კი სომხეთს შემოაქვს სამშენებლო მასალები, სარეცხი და საპოხი მასალები, საფეიქრო ნაწარმი, მინა და მინის ნაწარმი, ფარმაცევტული და მეცხოველეობის პროდუქცია, ყავა, სანელებლები, ხილი, ბოსტნეული და სხვ. ცენტრალურ კავკასიაში სავაჭრო–ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოებით სამივე ქვეყანა, პირველ რიგში კი, საქართველოა დაინტერესებული. მხედველობაში გვაქვს საქართველოს უზრუნველყოფა ბუნებრივი

აირით აზერბაიჯანიდან, რაც უკანასკნელ წლებში რუსეთიდან აირის მიღების ალტერნატივას წარმოადგენს, თუმცა მთლიანად აზერბაიჯანზე გადართვა არ გამორიცხავს მომავალში ქვეყნისათვის გარკვეული ენერგო უზრუნველყოფის საფრთხის არსებობას. რეგულარული ბაზრის ფორმირების მიმართულებით დღეისათვის მუსირებს მიდგომა ქვეყნის მომიჯნავე ტერიტორიებზე (ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გარდაბანი, მარნეული, ახალქალაქი, ნინოწმინდის რაიონის მიმდებარე აზერბაიჯანისა და სომხეთის რაიონების ტერიტორიები) შეიქმნას თავისუფალი სავაჭრო ზონები, რაც, ჩვენის აზრით, გარკვეული საფრთხის შემცველია, რამდენადაც გარკვეულად შეასუსტებს საქონლისა და მოსახლეობის საზღვრისპირა მოძრაობის კონტროლს და, თუ გავითვალისწინებთ ასეთი ვაჭრობის მოსალოდნელ ფართო მასშტაბებს, მივიღებთ საგრძნობ დანაკარგებს ბიუჯეში, რომ არაფერი ვთქვათ დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომ გაუარესებაზე ამ რეგიონებში. ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკურ ინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტი როლი საქართველომ უნდა შეასრულოს. საწყის ეტაპზე ინტეგრაციული თანამშრომლობა უნდა დამყარდეს საქართველო–აზერბაიჯანსა და საქართველო–სომხეთს შორის, სომხეთ–აზერბაიჯანს შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების გამორიცხვის გამო, ამ ეტაპზე იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს მეშვეობით. ინვესტიციების ოდენობით ამიერკავკასიაში ლიდერია აზერბაიჯანი, მას მოსდევს სომხეთი, შემდეგ საქართველო.

ქვემოთ მოგვყავს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელების შედარებითი ანალიზი აზერბაიჯანის და სომხეთის ქვეყნებთან მიმართებით.

დემოგრაფიული მაჩვენებლები

რამდენადაც საქართველოში მოსახლეობის მატების ტემპი სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია სისტემატურად მცირდება მისი წილი მთლიანად რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობაში. 2003 წელს იგი შეადგენდა 27,2 პროცენტს, 2011 წელს კი 26,4 პროცენტს. ამასთან ხარისხობრივადაც უარესდება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. მისი მოსახლეობის მედიანული ასაკი ბოლო ოცი წლის მანძილზე გაიზარდა 6 წლით და 37,6 წელი შეადგინა, რაც 8 წლით აღემატება აზერბაიჯანის და 5 წლით სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს იმის შედეგია, რომ საქართველოში პენსიონერების ერთსა და იმავე რაოდენობაზე აზერბაიჯანთან შედარებით 3–ჯერ, ხოლო სომხეთთან შედარებით 1.8–ჯერ ნაკლები ბავშვი იბადება. აღნიშნული გარემოება ამცირებს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ძირითადი ფაქტორის ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, შეიცავს ეკონომიკური, სამხედრო–პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა რეალურ საფრთხეებს.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გაეროს მიერ ახლახანს გამოქვეყნებულ რეიტინგში, თბილისი ყველაზე სწრაფად შემცირებადი ქალაქების რიცხვში აღმოჩნდა. რეიტინგში სულ 28 ქალაქი შევიდა და მათ შორის საქართველოს დედაქალაქი მე-15 პოზიციაზეა.

ექსპერტებმა ქალაქები 5 ფაქტორის მიხედვით შეაფასეს: მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა, ეკონომიკური პროდუქტიულობა, ცხოვრების დონე, ინფრასტრუქტურისა და გარემოს მდგომარეობა, ასევე სოციალური სამართლიანობა. თვით მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი საქართველოში მოსახლეობა ბუნებრივად მატულობდა, მაშინ საქართველოს მოსახლეობა 135 ათასი კაცით გაიზარდა. დღეს კი კატასტროფული მდგომარეობაა. ბუნებრივი მატება უკანასკნელ წლებში მხოლოდ 5-6 ათასს შეადგენს. სხვათა შორის, წლების განმავლობაში გაყალბებულ მონაცემებს აქვეყნებდა სამოქალაქო რეესტრი, რომ თითქოსდა საქართველოში შობადობის ბუმია. ამიტომაც იყო, რომ ოფიციალური მონაცემებით 2009-2010 წლებში თითქოსდა იმატა შობადობის მაჩვენებელმა, მაგრამ შემდეგში ოფიციალურმა სტატისტიკამაც აღიარა რომ მხოლოდ 2011 წელს, წინა წელთან შედარებით 4000-ზე ნაკლები ბავშვი დაიბადა საქართველოში. არც თბილისში გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა, შობადობა აქაც თანდათანობით იკლებს.

იმავე გაეროს მონაცემებით, 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. განსხვავებული მონაცემებია ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებით, მაგალითად, 2050 წლისთვის სომხეთის მოსახლეობა 7%-ით უნდა გაიზარდოს, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 27%-ით. ასე რომ, ამიერკავკასიაში დემოგრაფიული ბალანსი ირღვევა საქართველოს ხარჯზე. დედაქალაქი კი დიდწილად განსაზღვრავს დემოგრაფიულ სიტუაციას. ასე რომ, ის რაც გაერომ განაცხადა მოკლე ხანში რეალურად შეიძლება დაგვიფიქსირდეს. ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, მმართველმა გუნდა უნდა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ შემუშავდეს და რეალიზირე-

ბულ იქნას შობადობის ამაღლებისათვის ხელშემწყობი აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც ჩვენი ქვეყნისათვის, მოცემულ ეტაპზე სასიცოცხლოდ აუცილებელია.

მაკროეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი სურათი

2003 წელს საქართველო სამხრეთ კავკასიაში პირველ ადგილზე იყო ეკონომიკური განვითარებით. მიმდინარე ფასებით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში იქმნებოდა 919 აშშ დოლარის მთლიანი შიდა პროდუქტი (სამხერთ კავკასიის საშუალო მაჩვენებლის 104,3 პროცენტი), მაშინ, როდესაც სომხეთში – 874 აშშ დოლარის (99,2 პროცენტი), ხოლო აზერბაიჯანში – 864 აშშ დოლარის მშპ (98,0 პროცენტი). 2011 წელს წინაწარი შეფასებით, სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულმა მშპ-მა შეადგინა 5466 აშშ დოლარი, მათ შორის, სომხეთში – 3048 დოლარი (55,8 პროცენტი), აზერბაიჯანში – 7510 აშშ დოლარი (137,4 პროენტი), საქართველოში – 3098 შშ დოლარი (56,7 პოცენტი).

მთლიანად სამხრეთ კავკასიის ეკონომიკა (მთლიანი შიდა პროდუქტი) 2011 წელს, 2033 წელთან შედარებით, გაიზარდა 162 პროცენტით. სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ზრდის 78 პროცენტი აზერბაიჯანზე მოდიოდა, საქართველოზე – 12 პროცენტი, ხოლო სამხეთზე – 10 პროცენტი. აღნიშნულის შედეგად, საქართველოს მშპ-ის წილი სამხრეთ კავკასიაში 2003 წლის შემდეგ თითქმის განახევრდა, ხოლო ზერბაიჯანის წილი 1,5-ჯერ გაიზარდა.

ამჟამად ზერბაიჯანის ეკონომიკური პოტენციალი თითქმის სამჯერ აღემატება საქართველოსა და სომხეთის ჯამურ პოტენციალს, მაშინ, როდესაც 2003 წელს მხოლოდ უმნიშვნელოდ (დაახლოებით 7,0 პროცენტით) აღემატებოდა.

ინფლაცია და უმუშევრობა

2011 წელს თუ ავიღებთ ამ მაჩვენებელთა დონეთა ჯამს (ინფლაცია + უმუშევრობა) ე. წ. ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსს საქართველოში ვითარება 61%-ით უფრო არასახარბიელო იყო, ვიდრე აზერბაიჯანში, სომხეთთან შედარებით კი 31%-ით. ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი ახასიათებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მის მდგრადობას. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ეკონომიკური სტაბილურობა მით უფრო ნაკლებია. საქართველოში 2011 წელს ის შეადგენდა 24,7 %, აზერბაჯანში18,9% ხოლო სომხეთში-15,3%.

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის მიხედვით, საქართველოს 2011წელს აშშ-სთან შედარებით 2-ჯერ, ხოლო ევროგაერთიანებასთან 2,2-ჯერ უარესი მდგომარეობა ჰქონდა. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის მიერ წლეულს მარტში გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოში ამ ინდექსის დიდი წილი – 2/3 უმუშავრობაზე მოდის და მასზე ინფლაციის გავლენა ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ან აშშ-ში.

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსს გამოყენებითი ღირებულებაც აქვს, ის ასახავს სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციის დინამიკას. მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და დინამიზმის შეფასება შესაძლებელია სამი ძირითადი მაჩვენებლით: ეკონომიკის ზრდის, ინფლაციისა და უმუშევრობის საშუალებით. ეს სამი პარამეტრი განსაზღვრავს უპირატესად საზოგადოებრივ აზრს, ეკონომიკურ პოლიტიკას და მის წარმატებას. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი საშუალებას გვაძლევს რეალურად შევაფასოთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და მისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. (31)

სახელმწიფო ვალის სიდიდე სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ბოლო წლებში განუხრელად იზრდება და ჯამში 16,6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2003 წლის მაჩვენებელს 11,7 მილიარდი აშშ დოლარით, ანუ 3,4-ჯერ სჭარბობს. სახელმწიფო ვალის მოცულობა სამხრეთ კავკასიის ერთ მცხოვრებზე გაიზარდა 2003 წლის 306 აშშ დოლარიდან 2011 წლის 982 აშშ დოლარამდე. საქართველოს ყოველ მცხოვრებზე სახელმწიფო ვალის სიდიდე 1140 აშშ დოლარი, სომხეთში – 1264 აშშ დოლარი, ხოლო აზერბაიჯანში 802 აშშ დოლარია.

მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, აზერბაიჯანის საბიუჯეტო შემოსავლები 1,1%-ით აღემატება საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს.

მთლიანობაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეფექტიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით, მდგომარეობა აზერბაიჯანში 1,4-ჯერ, სომხეთში 1,6-ჯერ, ევროგაერთიანებაში თითქმის 2-ჯერ, ხოლო აშშ-ში დაახლოებით 2,4-ჯერ უკეთესია, ვიდრე საქართველოში.

საქართველოს მრეწველობის აღორძინება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტია

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად (28), სახელმწიფოში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეროვნული ინტერესების დაცვა, განვითარების სტრატეგიის რეალიზაცია, პრიორიტეტების განსაზღვრა, სისტემის ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი საფუძვლების მომზადება, ინვესტიციებისა და საკრედიტო რესურსების მოზიდვისათვის ხელშეწყობა, სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმის სრულყოფა და სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისობის უზრუნველყოფა ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან და ამ პოლიტიკის მიმართ ნდობის მოპოვება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მრეწველობაში ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები ახასიათებენ მისი განვითარების ტენდენციებს, ეკონომიკურ ეფექტიანობას და სხვა ასპექტებს. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, უსაფრთხოების ნეგატიური ტენდენციები ვლინდება პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპების შემცირებაში, მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირებაში, ავარიებისა და კატასტროფების საფრთხეში, წარმოების დანახარჯების ზრდაში, საექსპორტო პოტენციალის შემცირებაში, უმუშევრობის ზრდაში და სხვა კონკრეტულ მაჩვენებლებში, რომელთა გაუმჯობესება და მრეწველობის რითმული მუშაობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა სახელმწიფოს სამრეწველო სტრატეგიის ძირითად ამოცანას და მრეწველობის რეგულირების მთავარ მიზანს წარმოადგენს, როგორც თანამედროვე ეტაპზე, ასევე საბაზრო ეკონომიკის განვითარების შემდგომ პერიოდებში. აქვე უპრიანია გავიხსენოთ საყოველთაოდ აღიარებული სლოგანი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", რაც თავისი აქტულობით დღეს უფრო მეტ ეკონომიკურ დატვირთვას იძენს.

უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში იდგმება გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებისათვის, რაც მისასალმებელია, თუმცა ეს ძირითადად შეეხება კომერციული ბიზნესის სფეროს და ნაკლებად სამეწარმეო საქმიანობას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში ახალდაფუძნებულ ეკონომიკურ სუბიექტთა საქმიანობის ძირითად სახეობებს წარმოადგენს ვაჭრობა და მომსახურეობა, ძალზე იშვიათად წარმოება.

სამეწარმეო სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობა პირდაპირ მიანიშნებს რეალურ ეკონომიკურ საფრთხეზე, თუმცა ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვილაპარაკოთ გარკვეულ პოტენციალურ შესაძლებლობებზეც, როგორც ამ საფრთხის თავიდან აცილების რეალურ ფაქტორებზე. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ საგრძნობი სამრეწველო კაპიტალია დარჩენილი ქვეყანაში (მასიური პრივატიზაციას გადარჩენილი), რომელიც მიახლოებითი შეფასებით 2300 მლნ ლარს შეადგენს, და ძირითადად დიდი მასატევადობის წარმოების საშუალებებითაა წარმოდგენილი (დანადგარები, მოწყობილობები), რაზედაც ხანდაზმულობის მიუხედავად დღესაც მაღალი მოთხოვნილებაა. აქედან გამომდინარე, მცდარია მოსაზრება, თითქოს მრეწველობაში დღეისათვის არსებული ძირითადი საშუალებები ფიზიკურად და მორალურად იმდენად მოძველებულია, რომ უფრო ხელსაყრელია მათი გაყიდვა-გასხვისება, ვიდრე ადგილზე გამოყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

ქვეყანა ასევე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით.

საქართველოს მინერალურ-რესურსულ პოტენციალს ქმნის 450 საბადო სახელმწიფოს ბალანსზე აღრიცხული მარაგებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ საბადოთა დიდი უმრავლესობა დღეს ხელუხლებელია, რამდენადაც მათი გახსნა და ექსპლოატაციაში შეყვანა საბჭოთა პერიოდში არ წარმოადგენდა დიდ პრაქტიკულ ინტერესს კავშირის მასშტაბით, ამ მარაგების სიმცირიდან გამომდინარე.

საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება მეტალურგიული მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო მანგანუმის, სპილენძის და სხვა ლითონების სანედლეულო წიაღისეული. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მანგანუმისა და სპილენძის საბადო.

მანგანუმის მადნის მარაგის 90,7 პროცენტი თავმოყრილია ჭიათურაში. მისი მარაგი შეადგენს 244,74 მლნ.ტონას.

ფერადი მეტალურგიის განვითარებისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე მოიპოვება სპილენძის, ტყვია-თუთიის, ვერცხლისა და სხვა წიაღისეული. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მადნეულის სპილენძის პოლილითონური საბადო, რომლის მარაგი დღეისათვის 213,5 ათასი ტონა ლითონური სპილენძია.

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულ საბადოთა ბალანსზე ირიცხება ტყვია-თუთიის რამდენიმე საბადო. გარდა ამისა, ქვეყნის ტერიტორი-

აზე წარმოდგენილია მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ისეთი დამხმარე ნედლეული, როგორიცაა დოლომიტები, საფლუსე კირქვები და სხვა.

საქართველო მდიდარია სამთო-ქიმიური ნედლეულითაც. მაგალითად, ბარიტის საერთო მარაგი საქართველოში 9174 ათას ტონას ჭარბობს, რომელთაგან 3662 ათასი ტონა ირიცხება აფშრის საბადოზე რთულ გეოგრაფიულ პირობებში. ამგვარად, საქართველოს ბარიტის მარაგი რეალურად 5512 ათას ტონას შეადგენს. ქვეყანაში არის ასევე ბენტონიტური თიხების საბადოებიც. მათი საერთო მარაგი შეადგენს დაახლეობით 17 მლნ. ტონას. სამთო-ქიმიური ნედლეულიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დარიშხანის საბადოები. უაღრესად მნიშვნელოვანი სამთო-ქიმიური ნედლეულია დიატომიტი. ახალციხეში განლაგებულია ქისათბის საბადოს დიატომიტი თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ ლამპოკის საბადოს დიატომიტს (აშშ). გარდა ამისა, ქვეყანას მდიდარი სანედლეულო ბაზა აქვს ქიმიური ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებისათვის.

საქართველოს კარგი სანედლეულო ბაზას ფლობს საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის. მაგალითად, ცემენტის მრეწველობისათვის არსებობს კირქვის სამი გამოკვლეული საბადო თითქმის 200 მლნ. ტონა საერთო მარაგით და თიხების სამი საბადო 75 მლნ. ტონა მარაგით. მათ შეუძლიათ ცემენტის წარმოების უზრუნველყოფა არანაკლებ 50 წლის განმავლობაში. არსებობს სააგურე თიხის 60-მდე საბადო 46,5 მლნ. კბმ თიხის მარაგით. აღნიშნულ მარაგებს შეუძლიათ სულ მცირე 20 წლის განმავლობაში უზრუნველყონ აგურის წარმოება ნედლეულით.

საქართველოში არსებობს პერლიტების საბადო (ფარავნის საბადო), რომლის მარაგი შეადგენს 15,4 მლნ. კბმ-ს. მას გამოყენების ფართო სპექტრი აქვს (კვების მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა და სხვა). დიდია მათზე საექსპორტო მოთხოვნილება.

სამრეწველო ღირებულებით და ხარისხობრივი თვისებებით გამოირჩევა საქართველოში არსებული მოსაპირკეთებელი ქვები, რომელთა განსაკუთრებით მსხვილი საბადოებია კურსების (ტეშენტი), ბოლნისის (ტუფი), მოლითის, სადახლოს და სალითის (მარმარილო და მარმარილოსებური კირქვა). მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვება თაბაშირი, გაჯი, კერამიკის თიხები, ცარცისებური კირქვა და სხვა სამშენებლო მასალები.

საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი შეადგენს 2988 ათას ჰექტარს, ხოლო ტყით დაფარული ფართობი 2752 ათას ჰექტარს, ანუ ერიტორიის 29,6%-ს. საქართველოს ტყეები მდიდარია მრავალსახოვანი ხის ჯიშებით, რომელთაგან მრავალი მათგანი გამოიყენება ხის დამამუშავებელ მრეწველობაში და სხვა დარგებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, წიფლის მარაგი (179,9 მლნ. კბმ), მაგრამ ტყის ძირითადი მასივები განლაგებულია მთის ფართობებზე. ეს ტყეები კი, უპირველეს ყოვლისა, წყალშემნახავ, ნიადაგდაცვით, სანიტარულ-ჰიგიენურ და გამაჯანსაღებელ ფუნქციებს ასრულებენ. აქედან გამომდინარე, ტყის ჭრა ჩვენთან უნდა ატარებდეს შეზღუდულ ხასიათს.

ამჟამად, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მიწის ნაკვეთებისა და ტყეების მასობრივი პრივატიზაციის პროცესი, რასაც, სამწუხაროდ, თან სდევს ტყის მასივების მასიური გაჩანაგება (მათ შორის, იშვიათი, ენდემური ჯიშის ხეების მერქნის უკანონოდ დამზადება), რამაც შეიძლება სამომავლოდ გარკვეულად გაართულოს ტყეთა მასივების შენარჩუნების პროცესი და დიდი ეკოლოგიური საფრთხე შეუქმნას ქვეყანას..

დღეისათვის ქვეყნის სანედლეულო რესურსებიდან სამრეწველო ბრუნვაში ჩართულია მისი შედარებით მცირე ნაწილი. პრაქტიკულად ჯერჯერობით სამუშაოები მიმდინარეობს მხოლოდ ბოლნისისა და ჭიათურის საბადოებზე.

ს.ს. „ფეროს" მოთხოვნილება მანგანუმის მადანზე ამჟამად შეადგენს 80-100 ათას ტონას. სააქციო საზოგადოების განვითარების პერსპექტიული პროგრამის შესაბამისად მანგანუმის კონცენტრატზე მოტხოვნილების გაზრდა ნავარაუდევია 340 ათასი ტონის ფარგლებში.

შეზღუდული მასშტაბები აქვს ასევე სამთომადნის რესურსების გამოყენებას ს.ს. „მადნეულში", რომელიც ოქროს, სპილენძის და ტელერას შემცველ სპილენძის კონცენტრატებს ამუშავებს (12 ათასი ტონა სპილენძი წელიწადში). თუმცა ს.ს. „მადნეულში" ძირითადი ფონდების განახლების შემდგომ შესაძლებელია სპილენძის კონცენტრატის წარმოება 40 ათას ტონამდე გაიზარდოს.

ქვეყნის სანედლეულო-რესურსული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის შემსწავლელ, მომპოვებელ, გადამამუშავებელ, პროდუქციის მწარმოებელ და მის მომხმარებელ დარგებს შორის ორგანული კავშირების ფორმირებაზე, რითაც მიიღწევა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური წონასწორობა და იქმნება მისი სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარება ძირითადად დამოკიდებული იქნება იმ მაკროეკონომიკურ მოდელზე, რომელსაც ქვეყანა აირჩევს არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების ბაზაზე მრეწველობის შეკრული სისტემის ჩამოყალიბებისათვის,

რისთვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა სპეციალური მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, თუმცა ქვეყანაში უკანასკნელ წლებში ინდიკატორულ დაგეგმვაზე უარის თქმის პირობებში მსგავსი პროგრამების შემუშავების პერსპექტივა ძალზე ბუნდოვანია.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნის სანედლეულო ბაზის პრაგმატული შეფასების მიდგომიდან უნდა გადავიდეთ უპირატესად ეკონომიკურ მიდგომაზე, როდესაც მინერალური რესურსები განიხილება, როგორც უძრავი მატერიალური ქონების ფორმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ეკონომიკური მაჩვენებლით.

ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს აგრარული სექტორის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღორძინებისათვის. მან უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სურსათზე, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამისი ნედლეულით – კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები.

ზემოთ დასახელებული და სხვა ფაქტორები სხვა ცნობილ კრიტერიუმებთან ერთად წარმოადგენენ მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნების, პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევის და მათი მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავების საფუძვლებს.

ჩვენში ეკონომიკის პოსტინდუსტრიული განვითარების პირობებში წარმოჩინდა პრინციპულად ახალი მიდგომები. შემუშავდა „ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ზრდის პოლიტიკა", რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს სახელმწიფოს ინვესტიციას ეკონომიკაში და დარგების მიმართ სელექციურ მიდგომას. სანაცვლოდ შემოთავაზებულია მიდგომა, რომლის თანახმად, საწარმოს კონკურენტუნარიანობა თვით საწარმოს მიერ გატარებული სტრატეგიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ხოლო სახელმწიფოს როლი ის არის, რომ შექმნას უნივერსალური ხელშემწყობი გარემო საწარმოთა ფუნქციონირებისათვის.

მიგვაჩნია, რომ პრიორიტეტული დარგებისა და მიმართულებების სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა დაემყაროს სპეციალური საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ, მათ უნდა მიეკუთვნოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხაზით პრიორიტეტული პროგრამების რეალიზაცია, სანაციურ ღონისძიებათა განხორციელება, სხვადსხვა შეღავათებისა და პრივილეგიების მინიჭება და ა.შ.

მეტად მნიშვნელოვანია დღეისათვის შიდა ბაზრის დაცვა. როგორც ეკონომიკურ თეორიაშია ცნობილი, თუ იმპორტი მოიცავს ქვეყანაში მოხმარებული საქონლის უმრავლეს სახეობას, მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია გარდაუვალია. სტატისტიკის დეპარტმენტის 2011 წლის მონაცემებით ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა 7058 მლნ ლარის საქონელი და მომსახურება, ხოლო ექსპორტმა შეადგინა 2189 მლნ ლარი, ანუ იმპორტი ექსპორტს ჭარბობს სამჯერ და უფრო მეტად. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს ლიბერალური ეკონომიკის კლასიკურ ქვეყანაშიც კი, საჭიროების შემთხვევაში შიდა ბაზრის დასაცავად ფართოდ იყენებენ არასატარიფო რეგულირების ბიუროკრატიულ მექანიზმებს (აშშ-ში კანადური ხორცის და იტალიური მაკარონის პროდუქციის მოძალებული იმპორტის შემცირების ბიუროკრატიული ღონისძიებების მაგალითი), რასაც ფაქტობრივად, ჩვენ გვიკრძალავენ (როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას) და, აქედან გამომდინარე, არამცთუ ახალ საწარმოთა ამუშავებისათვის ხელშეწყობა, არამედ იმ მოქმედ საწარმოთა შენარჩუნებაც შეუძლებელი ხდება, რომლებიც ქვეყანაში იმპორტშემცველ პროდუქციას აწარმოებენ და მოსახლეობის დასაქმების რეალური პოტენციალური შესაძლებლობა აქვთ.

დღეს ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია ზომიერი პროტექციონისტური ღონისძიებების განხორციელება, რაც ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის დაცვას სავაჭრო-პოლიტიკური შეზღუდვების გზით, რითაც შევამცირებთ უცხოური საქონლის კონკურენტუნარიანობას სამამულო წარმოებასთან შედარებით და წავახალისებთ მის განვითარებას.

ეს ღონისძიებები, ცხადია, უნდა წარიმართოს მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით, რათა სამამულო ნაწარმი არ ჩამორჩეს მსოფლიო სტანდარტებს, არ მოხდეს ადგილობრივი ბაზრის გაძვირება.

პროტექციონიზმის მოწინააღმდეგეებს, მათ შორის განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, ძირითად არგუმენტად მოჰყავთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, რომელსაც გარდაუვლად მივყავართ საყოველთაო გლობალიზაციამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს რთული და არაერთგვაროვანი შინაარსის მატარებელი პროცესია, რომელიც ერთი მხრივ, აქტიურად უწყობს ხელს კაცობრიობის მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში და ძირფესვიანად ცვლის მთელ მის მატერიალურ-ყოფით ბაზას; მეორე მხრივ, მას შეიძლება თან ახლდეს მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რაც გამოიწვევს ეროვნულ კონკურენტულ უპირატესობათა დეგრადაციას,

წარმოების დაცემას, ქონებრივი უთანასწორობის ზრდას (რაც საქართველოს სინამდვილისთვის დღეს, სამწუხაროდ, სახეზე გვაქვს) და ა.შ. ეს კი გვიბიძგებს იქით, რომ მოიძებნოს გზები და საშუალებები ამ პროცესის თანმხლები ნეგატიური შედეგების გასანეიტრალებლად.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ერთ-ერთ ასეთ ბერკეტად სწორედ პროტექციონიზმი გვევლინება, რომელზეც უარის თქმამ, მართალია, შეიძლება დააჩქაროს საქართველოს მსოფლიო ბაზრის სტრუქტურაში ინტეგრირების პროცესი, მაგრამ ქვეყნის შიგნით გამოიწვიოს სოციალური დაძაბულობის ზრდა, ტრადიციული დარგების მოშლა, საწარმოთა მასიური გაკოტრება და სხვა უარყოფითი შედეგები, რისი რეალური საფრთხე ქვეყანაში პრაქტიკულად არსებობს.

საქართველოში არსებული სამრეწველო პოტენციალის, მისი რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების (სანაციურ ღონისძიებათა განხორციელება, სხვადასხვა შეღავათებისა და პრივილეგიების მინიჭება, შიდა ბაზრის დაცვა და ა.შ.),

სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს მრეწველობის განვითარების შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: ადგილობრივი სანედლეულო რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული საწარმოები, საექსპორტო და ომპორტშემცველი პროდუქციის წარმოება, კვების მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაცია და განვითარება, შესაბამისად პროდუქციის (ღვინო და ღვინის პროდუქტები, ჩაი, სასმელი და მინერალური წყლები, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ეთერზეთები) წარმოების გადიდება, მცირე ენერგეტიკის სექტორებისთვის და, მათ შორის, ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებისთვის, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებისთვის დანადგარ-მოწყობილობათა წარმოება, მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური ინოვაციების ეფექტიან გამოყენებაზე ორიენტირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების განვითარება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროდუქციის წარმოება, მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციის ქიმიურ-ფარმაცევტული, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონლის წარმოება.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ პრიორიტეტების გამოკვეთა და სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც არსებული სამრეწველო პოტენციალის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის, წარმოების მაშტაბების ზდისა და ქვეყნის უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების გარანტიას მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ერონული უსაფრთხოების კონცეფცია
3. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ. 2005, გვ. 231-314;
4. დოღონაძე შ., სახელმწიფო მართვის თეორია. თბილისი, 2008, 284 გვ.
5. ქოჩორაძე ო., გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ESM ბიზნესის სკოლა. NPG გამომცემლობა. 2009, - 465 გვერდი.
6. კეკელია ჯ., საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ., 1996.
7. ალადაშვილი ბ., ეკონომიკური უსაფრთხოება;თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა, თბილისი, 2011.
8. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. –პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ.2001 გვ. 26
9. ლ. თაკალანძე. სოციალური ეკონომიკა, I ნაწ, თბ. 2008, გვ. 535-563;
10. ადგილ ნ., ობრივი თვითმმართველობის სუბიექტების განვითარების ეკონომიკური სტრატეგია, რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტი, ხელმძღვანელი ნ. ცანავა, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2008, გვ. 203-209;
11. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ., 2005.გვ.297
12. არჩვაძე ს., „ეკონომიკური პალიტრა", 19-25 მარტი, №12, 2012.
13. Экономическая безопасность России: Общий курс: Учебник / Под ред.В.К. Сенчагова. 2-е изд. - М.: Дело, 2005.
14. http://hdrstats.undp.org/en/countries/country_fact_sheets/cty_fs_GEO.html
15. http://www.banksandfinance.ge/energetic/467-nabuko-aqtualuria.html
16. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
17. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
18. http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=5092